



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 364

9 აგვისტო
“ --- ” ----- 2022 წ.

ქ. თბილისი

„თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 ოქტომბრის №3/2418-18 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით განსახორციელებელ რიგ ღონისძიებათა თაობაზე“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 6 ივლისის №22.1027.1125 განკარგულების ფარგლებში გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 ოქტომბრის №3/2418-18 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით განსახორციელებელ რიგ ღონისძიებათა თაობაზე“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 6 ივლისის №22.1027.1125 განკარგულების ფარგლებში გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 2 აგვისტოს №22.1198.1289 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ინგოროყვას ქუჩა №19-ში, სადარბაზო 1, სართული 7, ბინა №9ა-ში არსებული 80.03 კვ.მ ფართის (ს/კ. №01.15.05.050.005.01.009ა) ნიკოლოზ კახეთელიძისათვის (პ/ნ. №01011003792) საკუთრებაში გადაცემაზე წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

ხელშეკრულება

„თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 ოქტომბრის N3/2418-18 გადაწყვეტილების“ აღსრულების ფარგლებში უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემისა და შესაბამისი კომპენსაციის გადახდის შესახებ

ქ. თბილისი

--/--/2022წ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 118¹ მუხლის მე-5 პუნქტის და „თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 ოქტომბრის N3/2418-18 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით (შემდგომში - „სასამართლო გადაწყვეტილება“), ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 6 ივლისის N22.1027.1125 განკარგულების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] განკარგულებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [●] განკარგულების საფუძველზე,

ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები:

ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო** (შემდგომში - „სააგენტო“), მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. N7, წარმოდგენილი [●] მიერ [●] და

მეორეს მხრივ, **ნიკოლოზ კახეთელიძე** (პ/ნ: N01011003792) (შემდგომში - „ქონების მიმღები“) მის.: [●]

ვაფორმებთ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების, „თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 ოქტომბრის N3/2418-18 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 6 ივლისის N22.1027.1125 და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] განკარგულებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [●] განკარგულების შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში უძრავი ქონების გადაცემისა და შესაბამისი კომპენსაციის გადახდის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - „**ხელშეკრულება**“) შემდეგზე:

ვინაიდან, „თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 ოქტომბრის N3/2418-18 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით განსახორციელებელ რიგ ღონისძიებათა თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 6 ივლისის N22.1027.1125 განკარგულების შესაბამისად, მთავრობის მიერ სრულყოფილად იქნა გამოკვლეული საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები;

ვინაიდან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტი საკრებულოს [●] განკარგულებებით ნიკოლოზ კახეთელიძისთვის ზიანის ანაზღაურების ფორმად განისაზღვრა პირდაპირი განკარგვის ფორმით, ქალაქ თბილისში, ინგოროყვას ქუჩა N19-ში, სადარბაზო 1, სართული 7, ბინა N9ა-ში არსებული 80.03 კვ.მ ფართის (ს/კ: N01.15.05.050.005.01.009ა) გადაცემა;

ვინაიდან, ნიკოლოზ კახეთელიძესთვის მთავრობის 2000 წლის 12 მაისის N108.27.94 დადგენილებით გადასაცემ ფართსა (ს/კ: N01.15.05.050.005.01.007ა) და დღეის მდგომარეობით, მისთვის გადასაცემად

მოძიებულ (ს/კ: N01.15.05.050.005.01.009ა) ბინების ფართობებს შორის არსებობს სხვაობა, სააგენტომ მიმართა სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ზემოაღნიშნული ფართობის საბაზრო ღირებულებისა და ამ ღირებულებებს შორის სხვაობის დადგენის მოთხოვნით;

ვინაიდან, ნიკოლოზ კახეთელიძესთვის მთავრობის 2000 წლის 12 მაისის N108.27.94 დადგენილებით გადასაცემი ფართის (ს/კ: N01.15.05.050.005.01.007ა) ღირებულებამ საორიენტაციოდ შეადგინა 442 054 ლარი, ხოლო მისთვის გადასაცემად მოძიებულ (ს/კ: N01.15.05.050.005.01.009ა) ბინის ფასმა შეადგინა 357 494 ლარი და სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ბიუროს N005078222 ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად უძრავ ქონებებს შორის სხვაობამ შეადგინა 84 560 (ოთხმოცდაოთხი ათას ხუთას სამოცი) ლარი;

ვინაიდან, „თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 ოქტომბრის N3/2418-18 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით განსახორციელებელ რიგ ღონისძიებათა თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 6 ივლისის N22.1027.1125 განკარგულების შესაბამისად, მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს ნიკოლოზ კახეთელიძისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, ქალაქ თბილისში, ინგოროყვას ქუჩა N19-ში, სადარბაზო 1, სართული 7, ბინა N9ა-ში არსებული 80.03 კვ.მ ფართის (ს/კ: N01.15.05.050.005.01.009ა) გადაცემას და ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებების ღირებულებებს შორის სხვაობის - 84 560 (ოთხმოცდაოთხი ათას ხუთას სამოცი) ლარის მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვას;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და მიზანი

- 1.1 ამ ხელშეკრულებით, სააგენტო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების „თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 ოქტომბრის N3/2418-18 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 6 ივლისის N22.1027.1125, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [●] განკარგულებების შესაბამისად, საკუთრებაში გადასცემს ქონების მიმღებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის უძრავ ქონებას: **ქალაქ თბილისში, ინგოროყვას ქუჩა N19-ში, სადარბაზო 1, სართული 7, ბინა N9ა-ში არსებული 80.03 კვ.მ ფართი (ს/კ: N01.15.05.050.005.01.009ა).**

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით განცხადების რეგისტრაციის ნომერი: [●] მომზადების თარიღი [●] ;

- 1.2 სააგენტო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 6 ივლისის N22.1027.1125 და [●] განკარგულებების შესაბამისად, ნიკოლოზ კახეთელიძისათვის „თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 ოქტომბრის N3/2418-18“ გადაწყვეტილების აღსრულებისა და ზიანის სრულად ანაზღაურების მიზნით - **84 560 (ოთხმოცდაოთხი ათას ხუთას სამოცი) ლარს** გადაუხდის ნიკოლოზ კახეთელიძეს (პ/ნ: N01011003792), ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვისა, მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

(საბანკო რეკვიზიტები)

მუხლი 2. საკუთრების უფლების გადაცემა

- 2.1. ქონების შემძენს 1.1 პუნქტში გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცემა საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 3. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

- 3.1 სააგენტო აცხადებს, რომ ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება. არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის ყადაღადადებული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით.
- 3.2 ხელშეკრულების მხარეები აცხადებენ, რომ ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების ხარისხი შეთანხმებულია მათ შორის და არ არის სადავო.
- 3.3 ქონების მიმღები ადასტურებს, რომ „თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 ოქტომბრის N3/2418-18 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მის მიმართ შესრულდა მთავრობის განკარგულებებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მისთვის საკუთრებაში გადაცემისა და დარჩენილ შესასრულებელ ვალდებულებად 84 560 (ოთხმოცდაოთხი ათას ხუთას სამოცი) ლარის მისთვის გადარიცხვის ფორმით.
- 3.4 ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ნიკოლოზ კახეთელიძე (პ/ნ: 01011003792) უარს აცხადებს უძრავი ქონებით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, 2018 წლის 24 ოქტომბრის N3/2418-18 გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით სხვა ნებისმიერ შესაძლო მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელსა ან/და პრეტენზიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების ან/და სახელმწიფოს მიმართ.
- 3.5 ქონების მიმღები ვალდებულია, დაფაროს ხელშეკრულებით მისთვის გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები.
- 3.6 წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება დასტურდება ქონების მიმღების მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ, თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაციით.

მუხლი 4. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

- 4.1 მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 4.2 მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

მუხლი 5. სხვა პირობები

- 5.1 ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.
- 5.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
- 5.3 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს). თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეს.
- 5.4 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

ნიკოლოზ კახეთელიძე
